გაუმარჯოს პარტიისა და ხალხის დიადი, ერთიანობას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ФИЗКУЛЬТУРА И СПОРТ

ЛЕЛО

Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 252 (4762)

1972 წ. 21 დეკემბერი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

- - დღეს მოსკოვში გაიმართება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა, მიძღვნილი სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი - -



გ. იაშვილის ნახატი.

შეხვედრა დიპლომატებთან

მოსკოვი, 18 დეკემბერი. დღეს აქ მსოფლიო საზაფხულო უნივერსიადის საორგანიზაციო კომიტეტის წევრებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს იმ ქვეყნების საელჩოთა მრჩევლებს კულტურის დარგში, რომელთა სპორტსმენებიც ამ სტუდენტურ თამაშებზე არიან მოწვეული.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ვ. ბოგატიკოვმა დიპლომატებს მოუთხრო მომავალ შეჯიბრებებზე, რომლებშიც ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის 3,5 ათასზე მეტი სპორტსმენი იასპარეზებს. მან განაცხადა, რომ სტუმრები მოსკოვში თავს შესანიშნავად იგრძნობენ და აღნიშნა, რომ „უნივერსიადა-73“ საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქის საუკეთესო ბაზებზე ჩატარდება.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის (ფისუ) წარმომადგენელი ე. სკარპიელო (იტალია), რომელიც ფისუ-ს დავალებით უნივერსიადისთვის მოსამზადებელ მუშაობას ეცნობოდა.

მატჩ-ტურნირი აუცილებელია

ბაკოში, მოჭადრაკე ვაჟთა მე-40 საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითს, XXI ტურში მ. ტალი (რიგა) ყაიმზე შეუთანხმდა რ. ხოლმოვს (მოსკოვი) და 15 ქულით ბრძოლა დაამთავრა. რიგელი დიდოსტატი მეოთხედ გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი.

საერთო ყურადღებას იპყრობდა ბრძოლა საზონათშორისო ტურნირის სამი საგზურისთვის. ვ. ხავონმა (ხარკოვი) ლ. შამკოვიჩთან (მოსკოვი) და მ. მუხინმა (ალმა-ათა) ს. ფურმანთან (ლენინგრადი) ბედის გამოცდას მშვიდობიანი ყაიმი ამჯობინეს და 12,5-12,5 ქულას დასჯერდნენ. მათ დაეწია გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი), რომელმაც კ. გრიგორიანი (ერევანი) დაამარცხა.

ვ. ტუმაკოვმა (12 ქულა) მოგებაზე ითამაშა ვ. რაზუვაევთან (მოსკოვი). პოზიციური უპირატესობაც მოიპოვა, მაგრამ ხუთ საათში ვერ ჩაეტია და პარტია გადაიდო. გუშინ რაზუვაევმა თამაშის განუახლებლად დათმო პარტია. ტუმაკოვმა 13 ქულით II ადგილი დაიკავა და საზონათშორისო ტურნირის საგზურიც დაისაკუთრა.

ამრიგად, საზონათშორისო ტურნირის კიდევ ორი საგზურისთვის დამატებით ორწრიან მატჩ-ტურნირს გაითამაშებენ ხავონი, მუხინი და კუზმინი.

სხვა შეხვედრებში ი. ბალაშოვმა (მოსკოვი) მოუგო ნ. რაშკოვსკის (კურგანი), ვ. ჟიდკოვმა (კიევი) — ვ. ზილბერშტეინს (ორსკი), დ. ბრონშტეინმა (მოსკოვი) — რ. ჯინჯიხაშვილს (თბილისი), ე. ვასიუკოვმა (მოსკოვი) — ლ. ალბურტს (ოდესა). ყაიმით დამთავრდა ა. ლეონ (მოსკოვი) — ვ. ბაგიროვისა (ბაკო) და ა. კაპენგუტ (მინსკი) — ვ. გუფელდის (თბილისი) პარტიები.

ჩემპიონატი დამთავრდა. პირველ ხუთეულზე ზემოთაა ნაამბობი. შემდეგ არიან: ბალაშოვი, ვასიუკოვი — 11,5-11,5 ქულა, ბაგიროვი, ფურმანი—11, ლეონი, ხოლმოვი — 10,5-10,5, რაზუვაევი — 10, ბრონშტეინი, ჯინჯიხაშვილი, კაპენგუტი, შამკოვიჩი — 9,5-9,5, გრიგორიანი, გუფელდი, ზილბერშტეინი, რაშკოვსკი — 9-9, ჟიდკოვი — 8,5, ალბურტი — 7.



ორი საგზურისთვის

გუშინწინ მოსკოვში სტარტი აიღო სამთა მატჩ-ტურნირმა საბჭოთა მოჭადრაკეების ნ. კონოპლიოვას (მოსკოვი), ვ. კოზლოვსკაიასა (პიატიგორსკი) და ი. ლევიტინას (ლენინგრადი) შორის ქალთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირის ორი საგზურისთვის. როგორც ცნობილია, ამ მოჭადრაკეებმა ქალთა 32-ე საკავშირო ჩემპიონატის ფინალში, რომელიც ამას წინათ ტოლიატიში გაიმართა, II-IV ადგილები გაიყვეს.

I ტურში კონოპლიოვამ და კოზლოვსკაიამ ბრძოლა ყაიმით დაამთავრეს.

მატჩ-ტურნირში მეტოქეები ორ-ორჯერ შეხვდებიან ერთმანეთს.

ჯილდოდ — ვერცხლის თასი

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ თბილისელმა ა. მეტრეველმა ზედიზედ მესამედ მოიპოვა სამხრეთ ავსტრალიის ჩემპიონის წოდება. აღსანიშნავია, რომ ქართველმა ჩოგბურთელმა მესამე გამარჯვებისთვის მიიღო ასეთი შემთხვევისთვის ჯილდოდ საგანგებოდ დაწესებული ვერცხლის თასი. ასეთი წარმატებისთვის 30-ანი წლების დამდეგიდან არავის მიუღწევია.

ვაჟთა წყვილების ფინალში მეტრეველმა და თ. კაკულიამ წააგეს ავსტრალიელებთან ჯ. მასტერსთან და რ. კეისთან — 6:8, 6:7, 4:6, 4:6. მიუხედავად ამისა, ავსტრალიის პრესა იწონებს და სანახაობრივად ყველაზე საინტერესოდ მიიჩნევს ქართველი ჩოგბურთელების თამაშს.

ქალთა ერთეულების ფინალური მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ავსტრალიელი ჩოგბურთელები ი. გულაგონგი და ჯ. ჰარიხი. გაიმარჯვა გულაგონგმა — 6:1, 6:3.



ჩვენ ამბობენ ★ ეს ასეა

მომავალ პედაგოგთა კარგი თაოსნობა

„მშდ კომპლექსის პროპაგანდა და დანერგვა სოფლის მოსახლეობაში“, — ასეთია მიზანი მინსკის გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტების და მასწავლებლებისა, რომლებმაც ლაშქრობა მოაწყვეს ჩერვენსკის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

„საინიციატივო ჯგუფს“, რომელიც სოფლად ლექციებით გამოდის და საინტერესო მასობრივ შეჯიბრებებს აწყობს, სათავეში უდგას მშდ კომპლექსის ერთ-ერთი პირველი ნიშნოსანი ბელორუსიაში, 82 წლის ნ. ლიუპენი — ფიზალზრდის კათედრის მეთოდისტი.

ბელორუსიის დედაქალაქის ფიზკულტურელებმა გადაწყვიტეს მხარი აუბან მომავალ პედაგოგთა კარგ თაოსნობას.

ვ. დუბოვი.

მინსკი.

საჯელი ოლიმპიადიდან

სტარტზე ოჯახები გამოდიან

„ქალევის“ საცურაო აუზზე ცოტა უცნაური ბრძანება გაისმა: „სტარტისთვის მოემზადებიან ინდრიქსონი, პრანგელი, ნიგული...“

საქმეში ჩაუხედავ კაცს გაუკვირდებოდა, როგორ უნდა გამოსულიყვნენ ერთად ხარბიელზე ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი ცურვაში ულვი ინდრიქსონი (ფოოგი), სსრ კავშირის ჩემპიონი წყალქვეშ ცურვაში ველიო პრანგელი, ქვეყნის ექს-ჩემპიონი ცურვაში, პრანგელის მეუღლე რემიდა, სპორტის ოსტატი, ასევე წყალქვეშ ცურვის ოსტატი იური ნიგული...

გამოცდილი სპორტსმენები ამჯერად სულ 20 მეტრზე ცურავდნენ სიგრძეზე კი არა, აუზის სიგანეზე, ბოლო ესტაფეტას თავიანთი ოჯახის წევრებს გადასცემდნენ. ინდრიქსონების გუნდში, ულვის გარდა იყო მათი ქალიშვილი კაია და მეუღლე ვიქტორი. მათვე მოიგეს ოჯახური ესტაფეტა.

სახალხო ლაშქრობები, ხათხილამურო შეჯიბრებები დედების, მამების, მათი შვილებისა და ნათესავების მონაწილეობით ესტონეთში ტრადიციად იქცა.

სპორტის დიდი ენთუზიასტი, მოცურავეთა მწვრთნელი ე. ტაკერი, რომელსაც ეკუთვნის ზემოხსენებული შეჯიბრების იდეა, გვიამბობს:

— ჩვენ ორი სახის ესტაფეტებს ვატარებთ— 8×20 ოჯახებისთვის (დედა, მამა, შვილები) და 4×20, რომელშიც სხვა ნათესავებსაც შეუძლიათ მონაწილეობა. თუმცა თავდაპირველად პირველ ესტაფეტაში სულ ათი ოჯახი ჩაება, ვეცადეთ სტარტზე ცნობილი სპორტსმენები გამოსულიყვნენ. ამდენივე მონაწილე ჰყავდა „ნათესაურ ესტაფეტასაც“, სადაც ყველას აჯობეს პაულ, ემილ, ეინო და პეეპ აგურაიუიალმა. უფროსი — პაული წარსულში ქვეყნის ჩემპიონი იყო მოსწავლეთა შორის, საკავშირო სტუდენტურ თამაშებში ორგზის გამარჯვებული, რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი წყალბურთში.

ასეთი შეჯიბრებები, განსაკუთრებით მაშინ, როცა უფროსებთან ერთად საპატიო კვარცხლბეკზე ბავშვებიც დგებიან, ყველა მონაწილეს დიდ სიხარულს ანიჭებს. ჩვენ გვინდა ეს ახარეზობა ტრადიციად იქცეს და მასობრივი იყოს.

უკვე დაგეგმილია მშდ ახალი ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივების „ოჯახური ჩაბარება“. სხვათა შორის, ეს მალე მოხდება საცურაო აუზზე და ტალინის გარეუბნის — მუსტამაიეს ხათხილამურეებზე. შეჯიბრებაში მონაწილეობა ყველა მსურველს შეუძლია, მიუხედავად ასაკისა. ყველა უზრუნველყოფილი იქნება მწვრთნელებითა და ხელმისაწვდომი კონტროლით. ეს საყოველთაო ხათხილამურო შეჯიბრებები მთელს ზამთარს გასტანს, ბოლოს კი მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება მოეწყობა.

ტალინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრიზი სპარტაკელებს დარჩათ



ბაკურიანში გაიშართა ზამთრის სპორტული სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი II რესპუბლიკური შეჯიბრება გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ პრიზზე. სულ რამდენიმე დღის წინ თოვლი არ იყო და სპორტსმენები შიშობდნენ, რომ შეჯიბრება საერთოდ არ ჩატარდებოდა. მაგრამ, ისევე როგორც შარშან, ამინდმა მოსპარეზეთ მაინც არ უმტყუნა: სტარტამდე ერთი დღით ადრე მოთოვა და სპორტსმენებმაც გაიხარეს, ოღონდ ეს იყო, რომ მეორე დღეს თოვლმა ერთ მეტრს მიაღწია და მსაჯები იძულებული შეიქნენ შეჯიბრების დრო გადაეწიათ, რათა ტრასა გაეწმინდათ.

პირველ დღეს მოეწყო სათხილამურო რბოლა 5 კილომეტრზე ქალებისთვის და 10 კილომეტრზე ვაჟებისთვის, აგრეთვე, შეჯიბრება გიგანტურ სლალომში. ბევრი მწვრთნელი და მსაჯი უპირატესობას „მოლოდიოჟ გრუზიის“ პრიზის შარშანდელ მფლობელს — „კოლმეურნის“ ნაკრებს ანიჭებდა. მაგრამ უკვე შეჯიბრების პირველივე სახეობაში — 5 კილომეტრზე მორბენალ ქალთა შეჯიბრებაში — დამაჯერებლად გამარჯვა „სპარტაკის“ წარმომადგენელმა ნ. ბაღაშვილმა. იგი შარშანაც პირველობის ერთ-ერთი პრეტენდენტი იყო, მაგრამ ფინიშთან ახლოს დავარდა და ეს შანსი დაკარგა. ამჯერად სპარტაკელს შეცდომა არ მოსვლია.

საინტერესოდ ჩატარდა ვაჟთა რბოლა. აქ ვამარჯვების ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი იყო საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ლ. სოღოიანი. მან მთელი დისტანცია კარგად გაიარა და მართლაც ყველას აჯობა.

იმ დროს, როცა მოთხილამურეები რესპუბლიკური სპორტკომიტეტის ბაზის მახლობლად ასპარეზობდნენ, კოხტაგორიდან ქალთა გიგანტურ სლალომში მონაწილენი დაეშვნენ. აქ მწვავე ბრძოლა გაჩაღდა ნ. ფალიანსა („სპარტაკი“) და თ. კოზანაშვილს („დინამო“) შორის. კოზანაშვილმა შარშან სლალომში ყველას აჯობა და ახლაც ცდილობდა პირველი ყოფილიყო, მაგრამ „სპარტაკის“ წარმომადგენელმა გაიმარჯვა. ვაჟთა შორის ამავე სახეობაში პირველი იყო დ. თვაური („კოლმეურნე“).

განსაკუთრებით დაიძაბა საპატიო პრიზისთვის ბრძოლა შეჯიბრების მეორე დღეს. 2 ქულით წინ იყო „სპარტაკი“ (I ადგილზე გადიოდა გუსდი, რომელიც ნაკლებ საჯარიმო ქულას მიიღებდა), მაგრამ „კოლმეურნე“ და „დინამო“ ლიდერებს ბევრი როდი ჩამორჩნენ. ყველაფერი სპეციალურ სლალომს უნდა გადაეწყვიტა.

ქალთა შეჯიბრებაში მთავარი მეტოქეები ნ. ფალიანი და ს. ნასყიდაშვილი („კოლმეურნე“) იყვნენ. ფალიანი ამჯერადაც უძლიერესი აღმოჩნდა. ნასყიდაშვილს თ. კოზანაშვილმაც აჯობა. ვაჟთა შორის პირველობა ასევე მეორედ მოიპოვა თვაურმა. მაგრამ ამან უკვე ვეღარ მოახდინა გავლენა სატურნირო ბრძოლის მსვლელობაზე.

მაშ ასე, „სპარტაკის“ გუნდმა (მწვრთნელი ყ. თიბილოვი) დამაჯერებლად იასპარეზა და „მოლოდიოჟ გრუზიის“ პრიზი დაისაკუთრა. II ადგილზე გავიდნენ დინამოელები — 12 ქულა, III — შარშანდელ ტურნირში გამარჯვებული „კოლმეურნის“ გუნდი — 14 ქულა.

დიდი თოვლის გამო პროგრამა თითქმის განახევრდა: ორჭიდში, ტრამპლინიდან სტომაში, სწრაფდაშვებაში, 3 და 15 კილომეტრზე რბენაში შეჯიბრებები არ გამართულა.

ტექნიკური შედეგებიდან ნათლად ჩანს, რომ პრეზიორების მაჩვენებლები არ ბრწყინავენ, რაც სწორედ უამინდობასაც უნდა მიეწეროს.

დაბოლოს, საინტერესოა რატომ აარიდეს თავი შეჯიბრებას „ბურევესტნიკისა“ და „განთიადის“ გუნდებმა. თუ შუა დეკემბერში საასპარეზოდ გუნდები არ ჰყავთ, წლევანდელ სეზონში რა მოსავლის იმედი უნდა ჰქონდეთ?

ბ. დურმიშიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბაკურიანი.

• • •

ტექნიკური შედეგები

ქალები. 5 კილომეტრზე რბენა. ნ. ბაღაშვილი („სპარტაკი“) — 28.24,0, ტ. ტერეხოვა („დინამო“) — 28.47,0, ლ. მაკიევა („სპარტაკი“) — 32.04,0. **სლალომი.** ნ. ფალიანი („სპარტაკი“) — 56,8, თ. კოზანაშვილი („დინამო“) — 59,9, ს. ნასყიდაშვილი („კოლმეურნე“) — 1 წუთი. **გიგანტური სლალომი.** ფალიანი — 1.16,2, კოზანაშვილი — 1.18,4, ნასყიდაშვილი — 1.19,4.

ვაჟები. 10 კილომეტრზე რბენა. ლ. სოღოიანი (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 39.21,0, ი. ნასყიდაშვილი („სპარტაკი“) — 40 წუთი, რ. მაკიევი („კოლმეურნე“) — 41.31,0. **სლალომი.** დ. თვაური („კოლმეურნე“) — 59,5, ა. სტეფანიანი — 1.00,3, გ. ფანჯაკიძე (ორივე — „დინამო“) — 1.00,5. **გიგანტური სლალომი.** თვაური — 1.06,8, სტეფანიანი — 1.07,9, ა. ნავერიანი („კოლმეურნე“)—1.09,6.

• • •

სურათებზე: „მოლოდიოჟ გრუზიის“ პრიზი; გ. ფანჯაკიძე ასპარეზობისას.

ბ. ქვათაძისა და
ო. გელაშვილის ფოტოები.

თერთმეტი მჭამელი

მიზანი: ნიუნოსანთა რიცხვის ზრდა

ქობულეთის ა. წერეთლის სახელობის 1-ელ საშუალო სკოლაში (ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. ჩახუნაიშვილი) შშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას დიდი ყურადღება ექცევა.

სასწავლო წლის დასაწყისიდანვე სკოლის ფიზკულტურის კოლექტივის საბჭომ შეიმუშავა სპორტულ ღონისძიებათა გეგმა ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად. უკვე ჩატარდა მძლეოსნური კროსები.

ამას წინათ გაიმართა შეჯიბრება ხტომაში. სარბიელზე სამი ასაკობრივი ჯგუფის 350 მოსწავლე გამოვიდა.

სიმაღლეზე ხტომაში 27 მონაწილემ ოქროს სამკერდე ნიშანზე ჩააბარა ნორმატივები, ხოლო 55-მა — ვერცხლის ნიშანზე. სიგრძეზე ხტომაში ათმა მონაწილემ ოქროს სამკერდე ნიშნები დაიმსახურა, 26-მა კი ვერცხლისა.

ლ. ტრაპაიძე.
(ჩვენი კორ.).

ქობულეთი.

• • •

სურათზე: მოსწავლე ლალი ანდღულაძე სიმაღლეზე ხტომისას.

ავტორის ფოტო.



იმ დღეს რაიონული ცენტრის საფეხბურთო სტადიონს დიდძალი მაყურებელი მიაწყდა. თავიანთი „იმედის“ თამაშის საყურებლად შორეული სოფლებიდანაც კი ჩამოსულიყვნენ გულშემატკივრები. ახალი სეზონის პირველი მატჩი იყო და, ცხადია, ამანაც გამოიწვია ასეთი ინტერესი.

როცა დიქტორმა „იმედის“ გუნდის შემადგენლობა გამოაცხადა, ტრიბუნებზე შეკრებილებმა გაოცებისგან პირი დააღეს მათთვის უცნო გვარების გაგონებაზე. მართლაც, გუნდში ამ რაიონის არც ერთი მკვიდრი აღარ თამაშობდა: სარბიელზე გამოდიოდნენ სხვადასხვა ქალაქიდან და რაიონიდან მოწვეული ფეხბურთელები, „ა“ და „ბ“ კლასების მოთამაშენი, მრავალ ბრძოლაში გამობრძმედილი სხვადასხვა ეროვნების სპორტსმენები. „იმედი“ ჭეშმარიტად ინტერნაციონალური გუნდი იყო.

ტრიბუნაზე მაყურებელთა ასეთი დიალოგი გაიმართა:

— იქნება წლეულს მაინც ეშველოს ჩვენს გუნდს, იქნებ ახლა მაინც აღარ შერცხვეს შარშანდელივით.

— შე კაცო, ამ უცხო ხალხით გინდა პირველი იყავი და ვინდა უკანასკნელი. არ გეტყვიან, ვისი წყალობით გადიხარ ფოსხო?

— საკვირველი კია, ჩვენმა რაიონმა ასე როგორ მოხიბლა, სხვა ქალაქებიდან რომ გადმოხვეწილან.

— ჩვენმა მომაჯადოებელმა ბუნებამ, რაიონის მშრომელთა გმირობამ და სტუმართმოყვარეობამ თუ იმოქმედა.

საქმეში უფრო ჩახედულმა გულშემატკივარმა თავი გააქნია და ყველას გასაგონად თქვა:

— არ იცით? სიხარბემ და მომხვეჭელობამ სძლია ამ ხალხს. ფულის საშოვნელად არიან ჩამოსული და არა ჩვენი რაიონის ღირსების დასაცავად.

ამ სიტყვების თქმელს ყველამ გაკვირვებით შეხედა, გულშემატკივარმა კი განაგრძო:

— ავტოსადგურთან სახინკლეს რომ აშენებენ, იცით ვინ იქნება გამგე? ჩვენი გუნდის ახალი მცველი მოვნაძე. მდინარეზე გადამდგარი რესტორანი რომ არის, იქ დირექტორი გუშინ გაათავისუფლეს და მის ნაცვლად ცენტრალური მცველი ვარიაგინი დანიშნეს.

— დანარჩენებს რა თანამდებობები მისცეს? — გაისმა ზემო რიგიდან.

— არც სხვები დარჩენილან ნაწყენი. ჭამიაშვილი სასაუზმის გამგეა, ქაფიანიძე—ლუდხანისა. დანარჩენებიდან ზოგი მაღაზიის გამგედ გააფორმეს, ზოგი კოლმეურნეობის ბრიგადირად, ზოგი საბჭოთა მეურნეობის ბუღალტრად, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის წევრად...

— მე ჩვენი ბიჭების თამაშის სანახავად ვიყიდე სეზონური აბონემენტი, თორემ გადამთიელი ფეხბურთელების ცქერა სულ არ მეპიტნავება, — თქვა ერთმა ხანშესულმა კოლმეურნემ, წამოდგა და ტრიბუნიდან გავიდა.

მსაჯმა თამაშის დაწყების ნიშანი მისცა. მეტოქეები ერთმანეთს დაუზოგავად ეკვეთნენ, შეიქნა ერთი ჯახაჯუხი. ერთ მომენტში „იმედის“ ახალ მცველს მეტოქე თავდამსხმელმა ბურთი ფეხებშუა გაუტარა და კარისკენ გაიჭრა. მცველმა უეცრად ჩაიმუხლა, ტერფზე ხელი იტაცა და მიწაზე გაიშლართა. არადა ასე დრამატული მომენტი არ იყო. მალე „იმედის“ კარში ბურთი გავიდა.



პირველს მეორე და მესამე გოლი მოჰყვა და ექს-ვარსკვლავებით შეკოწიწებულმა „იმედმა“ დამარცხებულმა დატოვა „მშობლიური“ სტადიონი.

მორიგ მატჩს მაყურებელი ნაკლებად დაესწრო. ანგარიშიც ამჯერად უფრო მოკრძალებული იყო — 1:0 „იმედის“ მეტოქის სასარგებლოდ. არც სხვა მატჩებში უვაუკაცია „იმედს“. სამაგიეროდ, გუნდის ყველა წევრი სიამოვნებით იდებდა ჯიბეში რესტორანში, ლუდხანაში, მაღაზიებში აღებულ ფულს.

„იმედი“ მინდორზე ოფლს რომ არ ღვრიდა, ეს გულშემატკივრების გარდა არავის აწუხებდა.

— რა მოხდა, აგებენ! ეს დროებითი ამბავია. ამდენი ცხობილი ფეხბურთელი მოსკოვსაც შეშურდება, — გულს არ იტეხდნენ რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის მესვეურები.

რაიონული ცენტრის რესტორანში, ლუდხანაში, სასაუზმეში და მაღაზიებში მომხმარებელთა არნახული ყვლეფა იყო. საგანგაშო სიგნალები ყოველდღიურად აღწევდა სადაც ჯერ არს, მაგრამ რაიონის რევიზორები იმ დაწესებულებებს სათოფეზე არ ეკარებოდნენ.

სეზონის ნახევარი არც კი იყო გასული, გადმოხიზნულმა ფეხბურთელებმა რაიონის ცენტრის ყველაზე ლამაზ ადგილებში დიდებული სასახლეები წამოჭიმეს, სოფლის მშრომელებისთვის განკუთვნილი „ვოლგები“ და „ჟიგულები“ ერთმანეთში გაინაწილეს, ცა ქუდად არ მიაჩნდათ და დედამიწა ქალაწნად.

... ბოლო მატჩს უნდა გადაწყვიტა, დატოვებდა თუ არა „იმედი“ თავის ლიგას. მეტოქე საკმაოდ ძლიერი იყო. „იმედის“ ფეხბურთელები თითქმის ბარბაცით გამოვიდნენ სათამაშოდ. თითქოს ერთმანეთს ვერ სცნობენო, ბურთს სულ მეტოქე გუნდის ფეხბურთელებს აწვდიდნენ. ანდა როგორ უნდა მდგარიყვნენ ფეხზე: დილამდე ქაფიანიძესთან იყვნენ ახალსახლობაზე...

მსაჯმა ხამართლიანად დასაჯა ვარიაგინი, როცა მან ზედ კარის წინ მოცელა მეტოქე თავდამსხმელი. არბიტრმა ის-ის იყო 11-მეტრიანის წერტილისკენ გაიშვირა ხელი, რომ სახეში ერთბაშად სამი წყვილი ხელი ნოხდა. მსაჯი არ ცხრებოდა, არ ცხრებოდნენ „იმედის“ ფეხბურთელებიც. მართალია 11-მეტრიანის დარტყმა არ მოხერხდა, მაგრამ მსაჯის ცემა-ტყეპა მანამდე გაგრძელდა, სანამ იგი მინდვრიდან საკაცით არ გაიტანეს.

თამაში ჩაიშალა. „იმედი“ დაბალ ლიგაში გადასახლდა. რაიონული ცენტრის სტადიონზე ერთი წლით აიკრძალა კალენდარული მატჩების გამართვა.

საგანგაშო ვითარება შეიქმნა. დაიწყეს გამოძიება, რევიზორებმა ახლა კი იკადრეს რესტორნის, სასაუზმის, ლუდხანისა და მაღაზიების აღწერა და შემოწმება. ბევრ აღმაშფოთებელ ფაკტს ნათელი მოეფინა. კოლმეურნეობის თავმჯდომარეები ახლა კი დაფაცურდნენ, ფეხბურთელი-ბრიგადირი „სამუშაოდან“ გაათავისუფლეს, გადაეყენეს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე, რომელმაც რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის გამოყოფილი მთელი თანხა „იმედის“ ფეხბურთელებს მოახმარა. არადა რა ექნა, ავალებდნენ, „იმედის“ გუნდისთვის მფარველობა გაეწია, მთავარზე რომ ჰქონოდათ თამაში, იქაც უნდა წაყოლოდა მთელი ამალით. ვიღას ახსოვდა სხვა სახეობათა განვითარება, ახალი სპორტული ბაზების მშენებლობა! სხვადასხვა მხარიდან გადმოხვეწილმა თერთმეტმა მჭამელმა მთელი რაიონი შეჭამა.

რაიონულ ცენტრში ხმა დაირხა: „იმედის“ ფეხბურთელებმა გუდანაბადი აიკრეს და სხვა რაიონში გადაბარგებას აპირებენო, თუ ასე მოხდა, ყველამ კარი უნდა გადაუკეტოთ ამ ფაიფეხბურთელებს, რომლებიც თქვენი რაიონისა თუ ქალაქის ღირსებას არაფრად ჩააგდებენ, მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისთვის, მომხვეჭელობისა და გამდიდრებისთვის იზრუნებენ.

... გაიხარეს რაიონის ფეხბურთის მოყვარულმა ბიჭებმა. ახლა მაინც მიეცათ მათ სტადიონზე ბურთის თამაშის საშუალება. ნახეთ, თავს როგორ იკლავენ ოფლში გახვითქული ბიჭები, რა აზარტით დასდევენ ბურთს, რა მშვენივრად თამაშობენ. აი, ამ ახალგაზრდებს მივხედოთ.

ზ. ჯაფარიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუბილეს აღსანიშნავად

თბილისის ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიხსნა საკავშირო ფოტოფესტივალი „ურღვევი კავშირი“, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს ეძღვნება.

ფესტივალში მონაწილეობს 25 ფოტოკლუბი — ქვეყნის 60 სხვადასხვა ქალაქის მხატვრული ფოტოგრაფიის ოსტატები და მოყვარულები.

საფესტივალო ექსპოზიციაში წარმოდგენილია თანამედროვე ფოტოხელოვნების ყველა ჟანრი. დიდი ადგილი ეთმობა ფიზკულტურასა და სპორტს: ცნობილ საბჭოთა სპორტსმენთა პორტრეტებს, შეჯიბრებათა რეპორტაჟებს, ჟანრობრივ ნამუშევრებს.

* * *



სურათებზე (ზევიდან ქვევით): დ. კახურაშვილი (ფოტოკლუბი „საქართველო“) — „იპოდრომზე“; ვ. კაპოჩუსი (ლიტვა) — „მეპარე“; მ. თათარიშვილი (საქართველო) — „ლიდერი“.

ფოტოფესტივალი „ურღვევი კავშირი“



უმაღლესი ლიგა

გუშინწინ თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა ჩემპიონატის პირველი ეტაპი.

„დინამო“ (მოსკოვი) — „კალევი“ (ტარტუ) 64:46 (38:25). მატჩის შემდეგ ვესაუბრე ესტონელთა გუნდის ვეტერანს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ი. ლიპსოს, რომელიც წლების მანძილზე სსრ კავშირის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი იყო, თამაშობდა ცსკა-ში და მხოლოდ რამდენიმე წლის წინ დაუბრუნდა თავის კოლექტივს. იგი თბილისში დაშავებული ჩამოვიდა და ამიტომ მთელის დატვირთვით ვერ თამაშობდა.

— შორიდან, რა თქმა უნდა, უფრო იოლია მსჯელობა. ნაკლსაც აშკარად ამჩნევ. ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ თბილისის ტური სახვიროს არაფერს მოგვიტანდა. რაც უნდა იყოს, თანამედროვე კალათბურთში ძნელია უცენტროდ თამაში. და მაინც, ვფიქრობ, რომ ჩვენმა გუნდმა ერთი გამოუსწორებელი ტაქტიკური შეცდომა დაუშვა: თბილისელებთან შეხვედრამ იმდენი ძალა და ენერგია წაგვართვა, რომ მეორე დღეს მოსკოვის „დინამოსთან“ ბრძოლაში ნოკაუტირებული აღმოვჩნდით. ჩემი ღრმა რწმენით, თქვენს გუნდთან მოგებაზე თამაშს აზრი არ ჰქონდა: შედეგი ისედაც ნათელი უნდა ყოფილიყო. ძალები მოსკოველებთან შეხვედრისთვის რომ შემოგვენახა, იქნებ ორ მატჩში ერთი ქულა მაინც აგვეღო, თორემ ტყუილუბრალოდ დავიქანცეთ პირველ დღეს და მომდევნო მატჩიც წავაგეთ.

„დინამო“ (თბილისი) — რტი (მინსკი) 63:59 (36:32). კალათბურთში ბრძოლას კოლექტივი იგებს — ეს ძველთაძველი ჭეშმარიტებაა. მაგრამ ყოველ კოლექტივს უნდა ჰყავდეს თუნდაც ერთი ლიდერი, რომელიც არა მარტო ზუსტად გრძნობს დისტანციას მეტოქის კალათამდე, არამედ შეუძლია თვითონ აიღოს ბრძოლის სადავეები და დანარჩენებიც თან გაიყოლოს. ამ მატჩში ასეთი ლიდერი საკანდელიძე იყო, რომლის თამაშს, შესაძლოა, აკლდა გარეგნული ეფექტი (სხვა შეხვედრებთან შედარებით), მაგრამ სარგებლიანობის მხრივ ნაკლს ვერ მოუძებნიდით.

სსრ კავშირის პირველობა

დასაწყისისთვის ესეც კმარა

რტი უაღრესად თავისებური, ყველასგან განსხვავებული კოლექტივია. უხეშად რომ ვთქვათ, იგი თვითონ კი არ თამაშობს, შენ გიშლის ხელს ბრძოლაში და თუ არ დააღწიე თავი მისი ტაქტიკური სქემების ტყვეობას, უსათუოდ ამოგაგდებს რიტმიდან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი ჯერ მიგაძინებს, გამოგაცლის საყრდენს, წაგართმევს მთავარ იარაღს, მერე კი კორტნას დაგიწყებს. სროლა ამ გუნდში ყველას შეუძლია, ბრძოლის უნარიც საკმარისი აქვთ. ერთი სიტყვით, გამარჯვებისთვის საჭირო არც ერთი კომპონენტი არ აკლიათ, ოღონდ კი თავიანთი ტაქტიკა მოგახვიონ და მონოტონურ ბრძოლაზე დაგიყოლიონ.

ასე მიიღო ამ გუნდმა ქულა მოსკოვის „დინამოსთან“. ასეთ აბლაბუდაში აპირებდა იგი ცსკა-სა და ტარტუს „კალევის“ გახვევას. იგივე ტაქტიკური ჩანაფიქრი ჰქონდა თბილისის დინამოელებთანაც და კინაღამ აისრულა კიდეც საწადელი, რომ...

აი, სწორედ აქ გამოვლინდა თბილისელთა ლიდერის მაორგანიზებელი როლი, რომელმაც სხვებზე ადრე დააღწია თავი მინსკელთა სახიფათო გავლენას. საკანდელიძემ თვითონ ხომ ივარგა და ივარგა, სხვებიც აიყოლია და, როგორც სულ მალე გამოირკვა, მინსკის გუნდს არ აღმოაჩნდა, მაგალითად, ბიჭიაშვილის ნეიტრალიზების საშუალება. თბილისელებმა მეტად ძნელი ბრძოლა მოიგეს, მაგრამ გუშინწინდელი მატჩი სხვა მხრივაც არის სამაგალითო: მან ნათლად გვიჩვენა თუ რა მნიშვნელობა აქვს ბრძოლის პროცესში ტაქტიკური აზროვნების გარდაქმნას, სქემების სწორ მონაცვლეობას.

თბილისის ტური მასპინძლებს ურიგოდ არ ჩაუტარებიათ, მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია. მთავარი ბრძოლები 1973 წელს შედგება — ქართული კალათბურთის საიუბილეო, ორმოცდამეათე წელს. განა შეიძლება იყოს სხვა უკეთესი საჩუქარი ამ თარიღისთვის, ვიდრე სახელოვანი კოლექტივის ტრადიციების აღდგენაა?

ნ. გუგუშვილი.

* * *

გთავაზობთ თბილისის ტურის საბოლოო შედეგებს:

	მ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (თბ.)	3	1	284—273	3
ცსკა	3	1	323—294	3
„დინამო“ (მ.)	2	2	302—291	2
„კალევი“ (ტარტუ)	1	3	269—295	1
რტი (მინსკი)	1	3	282—307	1

ცსკა-სა და „კალევის“ მატჩის ზუსტი ანგარიშია 88:76.

* * *

კაუნასისა და თბილისის ტურების შედეგების მიხედვით გათამაშების საერთო ცხრილი ასე გამოიყურება:

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„ჟალგირისი“	4	4	0	332—289	4
„დინამო“ (თბ.)	4	3	1	284—273	3
ცსკა	4	3	1	323—294	3
„სპარტაკი“ (ლ.)	4	2	2	276—259	2
„დინამო“ (მ.)	4	2	2	302—291	2
„სტროიტელი“	4	2	2	287—291	2
ასკ	4	2	2	238—267	2
„კალევი“	4	1	3	269—295	1
რტი	4	1	3	282—307	1
„სპარტაკი“ (ვ.)	4	0	4	282—309	0

* * *

ისინი ლანდვით დასდევდნენ ერთმანეთს: თბილისის დინამოელი ლ. ჩხიკვაძე და ტარტუელი ჯ. ტამისტე. როგორც ამ სურათზე ხედავთ, ამჯერადაც თბილისელმა ივარგა და ბურთი „კალევის“ კალათში მოათავსა.

მ. ზარგარიანის ფოტო.

მატჩები დეკემბერში

24 დეკემბერს კიევში, თბილისსა და მინსკში დაიწყება საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის მატჩები (შინ და გარეთ). გთავაზობთ კალენდარს:

24. ასკ (კიევი) — ცსკა, „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი), რტი (მინსკი) — „კალევი“ (ტარტუ).

26. „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „სპარტაკი“ (ვოროშილოვგრადი), „დინამო“ (თბილისი) — „სტროიტელი“ (კიევი).

27. „ჟალგირისი“ (კაუნასი)— „კალევი“ (ტარტუ).

29. ცსკა — „დინამო“ (მოსკოვი), „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — რტი (მინსკი), ასკ (კიევი) — „სტროიტელი“ (კიევი), „ჟალგირისი“ (კაუნასი)—„სპარტაკი“ (ვოროშილოვგრადი).

სოხუმელებმა ისევ იმარჯვეს

კისლოვოდსკში ჩატარდა კავკასიის ქალაქთა ტრადიციული ტურნირი კალათბურთში, რომელშიც სოხუმის ჭაბუკთა და გოგონათა გუნდებიც მონაწილეობდნენ. წინა ტურნირის ჩემპიონებს — სოხუმელ კალათბურთელებს ძლიერ სპორტსმენებთან მოუხდათ ბრძოლა. თავდაპირველად მათ დაამარცხეს ნალჩიკის „სპარტაკი“ (ჭაბუკებმა — 58:33, გოგონებმა — 38:31), II ტურში კი კრასნოდარის მხარის ჩემპიონს — ნოვოროსიისკის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის გუნდებს შეხვდნენ. სოხუმელებმა ამჯერადაც იმარჯვეს: ჭაბუკებმა ანგარიშით 50:45, გოგონებმა — 53:45.

გადამწყვეტი შეხვედრა ჩვენს თანამემამულეებს კისლოვოდსკელებთან ჰქონდათ. გამარჯვება ისევ სოხუმელებს დარჩათ. ჭაბუკებმა ანგარიშით 62:49 სძლიეს მეტოქეს, გოგონებმა — 40:36.

სოხუმელმა სპორტსმენებმა ამ ტურნირში ზედიზედ მეორედ გაიმარჯვეს.

ბ. იაშვილი.



● ᲥᲐᲠᲚᲡᲢᲐᲓᲘ, 18 დეკემბერი. ცენტრალური შვეიცის ამ ქალაქში დამთავრდა იუნიორ ჰოკეისტთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ მასპინძელი ქვეყნის, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და ფინეთის გუნდები. საბჭოთა სპორტსმენებმა ბოლო მატჩში მარცხის სიმწარე იწვნიეს შვედებისგან (1:6) და III ადგილი დაიკავეს. შაიბების უკეთესი ბალანსის წყალობით II ადგილზე გავიდნენ ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები, ხოლო I ადგილი შვედებმა დაიკავეს.

● სალბერი, 18 დეკემბერი. ოწტარიოს პროვინციის ამ ქალაქში სსრ კავშირის ჰოკეისტთა მეორე ნაკრებმა კანადელებთან სერიის მატჩებში მეხუთე გამარჯვება იზეიმა, ამჯერად ადგილობრივი უნივერსიტეტის გუნდი დაამარცხა — 5:2.

● მოსკოვი, 19 დეკემბერი. დღეს აქ გაიმართა გაზეთ „იზვესტიის“ პრიზზე ჰოკეისტთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრების მორიგი მატჩი. ფინეთის ნაკრებმა უაღრესად მწვავე ბრძოლის შემდეგ ჰოლონეთის ეროვნულ გუნდს სძლია — 3:2.

● ნაირობი, 19 დეკემბერი. მინსკის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა აქ ანგარიშით 4:0 დაამარცხა კენიის ჩემპიონი „ბრეიერისი“ და მასპინძელ ქვეყანაში ტურნეც დაასრულა. გოლები გაიტანეს: გრიგორიევმა (2), იურგელევიჩმა და ონამბომ (საკუთარ კარში).

„შვიდკაცას“ ოდისეა

ბოლო დროს ჩვენს პრესაში სულ უფრო მეტი ადგილი ეთმობა შორეულ საზღვაო მოგზაურობებს აფრიკნი ნავებით. ვინ არ აღაფრთოვანა ფ. ჩიჩესტერის სიმამაცემ, სახელოვანი ტ. ჰეიერდალის შესანიშნავმა ორმა ექსპედიციამ. ბევრი დაიბეჭდა ინგლისელ ა. როუზზე, ამერიკელ ლ. გრეჰემზე, პოლონელ ი. ტელიგაზე, ფრანგ ე. ტაბარლიზე, საბჭოთა მეზღვაურ ს. იანცელევიჩზე...

შორეული საზღვაო მოგზაურობები მართლაც ძალიან პოპულარულია მთელს მსოფლიოში. უკვე თითქმის 100 წელია უამრავი შეჯიბრება ტარდება. სსრ კავშირში შარშანდლიდან შემოიღეს ტრადიციული ბალტიის თასის გათამაშება საკრეისერო ნავებს შორის და პირველივე შეჯიბრებაში, ლენინგრად — რიგის უბანზე, 34 ეკიპაჟი ჩავება. გაისიდან ყოველწლიურად მოეწყობა შავი ზღვის თასის გათამაშებაც.

1971 წელს თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმაც იყიდა ორი საკრეისერო ნავი, რომლებითაც წლეულს აგვისტოში მოეწყო სპორტული გადასვლა მარშრუტით: ფოთი — ოდესა — ფოთი. თბილისის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლა გამოდიოდა „ერთტონიანი“ კლასის ნავით, რომელსაც „შვიდკაცა“ ვუწოდეთ. რესპუბლიკის უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 სკოლა კი ლაშქრობაში ჩაება „კინგს ამეტისტ 1“-ის კლასის ნავით „გიორგი ნიკოლაძე“. ამ უკანასკნელის მოგზაურობაზე „ლელო“ უკვე წერდა, ამიტომ ამჯერად „შვიდკაცაზე“ ვილაპარაკოთ.

როგორც სახელიდან ჩანს, ჩვენი ეკიპაჟი შვიდი სპორტსმენისგან შედგებოდა, ძირითადად თბილისის ნაკრების წევრებისგან. ნავის კაპიტანი, სპორტის ოსტატი თამაზ ზოიძე პოლიტექნიკური ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-მუშაკია, სპორტის ოსტატობის კანდიდატი ვალიკო ქიტუაშვილი — ამავე ინსტიტუტის სტუდენტი. პირველთანრიგოსნები რევაზ გაჩეჩილაძე გეოფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკია, დიმიტრი ვარძელაშვილი — პოლიტექნიკური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი, კარლო მოისწრაფიშვილი — ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი, ბექარ შოშიტაიშვილი — წყალთა მეურნეობის საბინისტროს ინჟინერი. მეშვიდე მე ვიყავი.

შორეული სპორტული ნაოსნობა, რომლის თაოსანიც საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი იყო, სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის დიად იუბილეს მიეძღვნა. მოგზაურობა მიზნად ისახავდა საზღვაო პირობებში ნავის გამოცდას, მისი ჩქაროსნული და საზღვაოსნო თვისებების დადგენას, რაც მთავარია, ეკიპაჟის დაოსტატებას მომავალ, უფრო პასუხსაგებ შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის.

შორეული მოგზაურობა ეკიპაჟის წევრებისგან დაძაბული ფიზიკური ბრძოლის გარდა მოითხოვს საზღვაოსნო და მეტეოროლოგიური ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას, რუკაზე მუშაობას, ნავის ადგილმდებარეობის განსაზღვრის უნარს, ნავის კომპასით მართვას დღისით და ღამით, როცა არც ნაპირი ჩანს, არც რაიმე სხვა ორიენტირი.

ნავზე ორ-ორი კაცი ვმორიგეობდით: ღამით ოთხ-ოთხ, დღისით კი ექვსექვს საათს.

გთავაზობთ ამონაწერს დღიურიდან:

14 აგვისტო. დღის 12 საათია. „შვიდკაცა“ ფოთის საკონტროლო პუნქტის გასწვრივ ნელა მისრიალებს. ღია ზღვაში გავდივართ. ჩვენი მეგობრები (ფოთში შეჯიბრებაზე მყოფი თბილისელი სპორტსმენები და ფოთელები, რომლებმაც დიდი და უანგარო დახმარება გაგვიწიეს მოგზაურობისთვის მზადებაში) საბუქსირო კატარღა „პილოტით“ გვაცილებენ. შეუმჩნევლად ვშორდებით ნაპირს. წინ 1300 საზღვაო მილია (2400 კმ-მდე) და თავში ათასი კითხვა გვიტრიალებს.

15 აგვისტო. 24 საათი. სოხუმთან შემოგვაღამდა. აქვე ვიგრძენით შუქურას პირველი „სითბო“...

დიდხანს არ დაგვიძინია. სოხუმის შუქურა ჯერ კიდევ კიაფობდა შორს, კიჩოს უკან, როცა ერთბაშად გამოჩნდა ორი სხვა შუქურა — ბიჭვინთის და გუდაუთისა.

ბიჭვინთასთან გათენდა. გადავკვეთეთ საქართველოს საზღვარი და შელამპებისას სოჭში ჩავედით.

16 აგვისტო. 14 საათზე ტუაპსეში შევედით. განვლილია 179 მილი. მოვიმარაგეთ წყალი, საჭმელი. ნავი შეკეთეთ...

17 აგვისტო. 04 საათზე კურსი ანაპისკენ ავიღეთ. 16 საათზე გადავკვეთეთ კავკასიის სანაპიროს ყველაზე ვერაგი ადგილი — ცემესის ყურე ნოვოროსიისკთან. ეს ადგილი განთქმულია თავისი გრიგალისებური ქარით („ბორა“) და მისი ნიშნები ბევრ გამოცდილ მეზღვაურსაც კი შიშს ზარსა სცემს. საბედნიეროდ, ამჯერადი მშვენიერი იყო. „საეჭვო რეპუტაციის“ ადგილს მშვიდობიანად გავშორდით.

18-21 აგვისტო. 00 საათსა და 30 წუთზე ანაპასთან ვართ. აქამდე ძირითადად ნაპირის პარალელურად მივდიოდით, ახლა კი ანაპის შუქურასთან შევუხვიეთ და კურსი ღია ზღვაში ფეოდოსიისკენ ავიღეთ. გვაღელვებდა საკითხი: ღილისთვის გავიდოდით თუ არა ტაკილის კონცხთან, ქერჩის ნახევარკუნძულზე, ყირიმის ჩრდილოეთით. მღელვარებას ისიც აძლიერებდა, რომ ღამით კომპასის ნათურა გადაგვეწვა და აღებული კურსის დაჭერა ვარსკვლავების დახმარებით გვიხდებოდა. დილით ტაკილის კონცხის პირქუში კონტურები დავინახეთ.

შემოვუარეთ ყირიმის ნახევარკუნძულის ულამაზეს ნაპირებს, შევჩერდით ფეოდოსიაში და 21 აგვისტოს სევასტოპოლში ჩავედით.

22 აგვისტო. სევასტოპოლიდან გავედით. ადრე დილით ტარხანკუტის ნახევარკუნძულთან ვიყავით. ჩრდილო-აღმოსავლეთის 6-7 ბალის სიძლიერის ქარი ოდესის მხრიდან, როგორც მეზღვაურები იტყვიან, „პირდაპირ ცხვირში“ გვიბერავდა. ქარის წინააღმდეგ ნავის ტარება მესაჭისა და ეკიპაჟის შეთანხმებულ მუშაობას მოითხოვს.

ქარი 24 აგვისტოს დილითაც იყო ტენდრის შუქურასთან. იგი თანდათან მატულობდა. ტალღა 4-4,5 ბალამდე აგორდა, ნავს აქეთ-იქით ისროდა.

შუადღისას ქარი ცოტა მინელდა და ერთ-ერთმა ჩვენგანმა ჰორიზონტზე ბურუსში ოდესის კონტურები შენიშნა. გემბანზე გამოვცვივდით. დაღლილობა წამსვე დაგვავიწყდა. ქალაქში შესასვლელად ნავის მოწესრიგებას შეგუდექით.

ოდესაში ორ დღეს დავრჩით. 29 აგვისტოს 17 საათზე გამოვეთხოვეთ ოდესის საიალქნო კლუბს და ახალ მეგობრებს, რომლებმაც შაშხანების ზალპებით გამოგვაცილეს და უკან ბედნიერად დაბრუნება გვისურვეს.

მეორე დღესაც ხელსაყრელი მიმართულების ძლიერი ქარი გვიბერავდა. სწორედ ამ მონაკვეთზე მივაღწიეთ მაქსიმალურ საკრეისერო სიჩქარეს — 140 მილს დღე-ღამეში. შემდეგ კვლავ ხერსონესის შუქურა, ყირიმის ნაპირები... აქ ღამით მოგყვეთ ქარში, რომლის სიძლიერე დროდადრო 9 ბალს აღწევდა. ძირითადი აფრები სწრაფად ჩამოვუშვეთ და საავდრონი დავაყენეთ. ტალღის დარტყმისას ნავი ზანზარებდა. დილით მშვიდობიანად მივაღწიეთ იალტას.

30 აგვისტოს დავინახეთ მშობლიური კავკასიონის ნაცნობი კონტურები.

31 აგვისტოს სოჭის მისადგომებთან ძლიერ ღელვაში მოვყევით. იგრძნობოდა შემოდგომის მოახლოება. კავკასიონი ღრუბლებს დაეფარა. მთელ ღამეს ძლიერი ელვა და ჭექა-ქუხილი იყო და აი, 1 სექტემბრს ლესელიძის მისადგომებთან გადავკვეთეთ საქართველოს საზღვარი. შუადღისას უკვე ბიჭვინთასთან ვიყავით.

მთელი ოცი დღის განმავლობაში მოუთმენლად ველოდით ბიჭვინთის „ზუდამ მზიან და წყნარ“ ყურეში შესვლას. აქ ორიოდე დღეს დასვენებას ვაპირებდით. მაგრამ ყურეში კოკისპირული წვიმა დაგვატყდა თავს. ცარიელ ნაპირზე ნავის სადგომი ადგილი ძლივს ვიპოვნეთ სოფელ ლიძავაში, თევზის ქარხანასთან. გადავწყვიტეთ ცოტა დაგვეცადა. თუ გამოიდარებდა, დავრჩებოდით. ეკიპაჟის ორი წევრი ნაპირის „დასაზვერად“ წავიდა. უცბად წვიმამ იმატა. ქარი ამოვარდა და ზღვიდან მაღალი ტალღა წამოვიდა. ნაპირზე ნავის დატოვება სახიფათო ხდებოდა. ღუზა ამოვიღეთ და ძრავის გამოყენებით ნაპირს 200 მეტრით დავშორდით. ნაპირზე დარჩენილი ფარდულს შეფარებული ჩვენი მეგობრები ნავის სახიფათო რწევას გულის ფანცქალით ადევნებდნენ თვალს. როგორც იქნა, წესრიგში მოვიყვანეთ ახლართული ორი გვარლი, გავამზადეთ იალქნები.

ნათელი დილა გათენდა. ჩვენი ეკიპაჟის წევრები „შვიდკაცაზე“ მეთევზის ნავით მოვიდნენ და ფათერაკიან ადგილს გავშორდით... ესეც შენი „ზუდამ მზიანი და წყნარი“ ბიჭვინთა...

3 სექტემბერს, 10 საათზე ფოთის ნავსადგურის ამწეები გამოჩნდა. უსაზღვრო იყო მოგზაურობის წარმატებით დასრულების სიხარული. მაგრამ ყველა ჩვენგანს გულში რაღაც ნაღველი ჩაგვრჩა — ზღვასთან გამოთხოვება არ გვინდოდა.

ორიოდე საათში ფოთის ნავსადგურის საკონტროლო პუნქტი გადავკვეთეთ. მოგზაურობა დასრულდა. მიზანი მიღწეულია! 1300 მილი უკან დარჩა. საშუალო სადღეღამისო სიჩქარე — 118 მილი — კარგ მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს. ბევრი რამ ვისწავლეთ. მივიღეთ შესანიშნავი საზღვაო პრაქტიკა, რაც შემდგომში ჩვენს სპორტულ მუშაობას დიდად შეუწყობს ხელს. რაც მთავარია, რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ ჰატივით გავიტანეთ ქართული, კერძოდ, თბილისის საიალქნო კლუბის სახელი. წარწერა ნავის კიჩოზე — „შვიდკაცა“—ბევრი გამოცდილი მეზღვაურისა და არამეზღვაურის გაკვირვებასა და აღტაცებას იწვევდა.

სამერმისოდ ბევრი საინტერესო გეგმა გვაქვს. „შვიდკაცას“ ეკიპაჟი გულმოდგინედ ემზადება მომავალი სეზონისთვის. საჭიროა ნავის კაპიტალური შეკეთება, ბევრი წვრილმანის გადაკეთება... ვისაც ერთხელ უგემია გაშლილი ზღვის ეშხი, ნავის ცხვირზე დაჯახებული ტალღის ხმაური, წყნარი მთვარიანი ღამეების სილამაზე, ქარის ზუზუნი მავთულსხართებში, ტალღებთან ჭიდილი, მისთვის ყველაზე მძიმე სამუშაოც კი სასიამოვნო შესასრულებელია მომავალი განცდების მოლოდინში.

ი. ფერაძე,

კვების მრეწველობის გამოთვლითი ცენტრის განყოფილების გამგე, თბილისის ნაკრების უფროსი მწვრთნელი, სპორტის ოსტატი.

• • •

სურათზე: „შვიდკაცა“ თბილისის ზღვაზე ვარჯიშის დროს.



ჩვენი ადამიანი

მძელური

გარდაიცვალა წარსულში ცნობილი მოჭიდავე მიხეილ მძელური (ერთობელი). იგი ქართულ მოჭიდავეთა იმ სახელოვანი პლეადის წარმომადგენელი იყო, რომელშიც შედიოდნენ შაშო ვერელი, გიორგი და ირაკლი კახნაშვილები, ვანო წამალაშვილი, გიგლა ლამისყანელი, იოსებ მეჯვრისხეველი, ნიკა მეტეხელი, დათო ავლაბრელი და სხვ.

მიხეილ მძელურმა მთელი თავისი ცხოვრება შრომასა და გარჯაში გაატარა. დაიბადა 1904 წელს. 1920-1932 წლებში მუშაობდა ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში ზეინკლად, შემდეგ — თბილწყალსადენის სახელოსნოში. სამამულო ომის წლებში მიხეილ მძელური თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მჭედელია. 1959 წელს პენსიაზე გავიდა, ნადირობასა და თევზაობას დაეწაფა.

მიხეილ მძელური 30-ანი წლების ცნობილი ფალავანი იყო. იგი ბევრ სახელგანთქმულ მოჭიდავეს შეხვედრია და მუდამ გამოირჩეოდა დიდი ფიზიკური ძალით, ხერხითა და სამართლიანობით. ამიტომ მოსწონდათ იგი ჰიდაობის მოყვარულთ, ამიტომ სცემდნენ პატივს მეტოქეები.

სპეტაკი ადამიანის და კარგი მეგობრის ხსოვნა სამარადჟამოდ დაგვრჩება მეხსიერებაში.

ქართული ჰიდაობის რესპუბლიკური ფედერაცია.

90 მოკრივე...

ამას წინათ ცხინვალში დამთავრდა მოკრივეთა საკავშირო ტურნირი საბჭოთა კავშირის ორგზის გმირის, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის გმირის, არმიის გენერალ ი. პლიევის თასზე. ეს შეჯიბრება საკავშირო სპორტკომიტეტისა და სსრ კავშირის კრივის ფედერაციის თაოსნობით ჩატარდა.

რინგზე საქართველოს, რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანისა და მოლდავეთის 90 მოკრივე გამოვიდა.

ფინალურ შეხვედრებს უამრავი მაყურებელი დაესწრო.

48 კგ წონითს კატეგორიაში შეჯიბრება არ გამართულა.

51 კგ წონის ათლეტთა შეჯიბრების ფინალში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ ზაპოროჟიელი მ. ბურტოვოი და კრასნოდარელი ვ. ლიტვინოვი. კრასნოდარელმა ძლიერად ჩაატარა ბრძოლა და გაიმარჯვა.

54 კგ წონითს კატეგორიაში ერთმანეთს შეხვდნენ ნალჩიკელი გ. მალინინი და ცხინვალელი ა. ვალიევი. სამივე რაუნდში მასპინძელი საინტერესოდ, გააზრებულად იბრძოდა და გაიმარჯვა კიდევ.

57 კგ. ე. მერზლიაკოვმა (კრასნოდარი) მოუგო კალინინელ ვ. ბუტს.

60 კგ. კიროვოგრადელმა ა. პანასენკომ შესამე რაუნდში ამკარა უპირატესობით გაიმარჯვა ბათუმელ გ. ხაჩატურიანთან.

63 კგ. ცხინვალელმა ე. ჩოჩიევმა აგრესიულ სტილში ჩაატარა ბრძოლა ტირასპოლელ ოსტატ ვ. სივოქელევთან, რომელმაც მეორე რაუნდში შეწყვიტა წინააღმდეგობა. ჩოჩიევმა სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

მ. ლიტვინოვმა (67 კგ) ყველა შეხვედრა აღმავლობით ჩაატარა, ფინალში კი დაამარცხა ი. ნიკაშკინი (ვოლგოგრადი).

თავი ისახელა ედანოველმა ვ. ეგოვცევმა (71 კგ), რომელმაც გადამწყვეტი შეხვედრა ამკარა უპირატესობით მოუგო ვინიცელ ა. სავჩენკოს.

ვ. რომენსკისა (ნალჩიკი) და ი. ანტიპოვის (ედანოვი) ორთაბრძოლაში (75 კგ) ნალჩიკელმა მეტოქე აიძულა მეორე რაუნდში დანებებულიყო.

კალინინელმა ვ. მარტინოვმა (81 კგ) ყველა ბრძოლა ლამაზად და აგრესიულად ჩაატარა. ფინალში მან პირველ რაუნდშივე გაიმარჯვა პ. გოლიუკთან (ვინიცა).

81 კგ-ს ზევით წონაში ედანოველმა პ. რაბჩევსკიმ იოლად დაამარცხა ე. სენკოვსკი (ივანო-ფრანკოვსკი).

მასპინძელთაგან III საპრიზო ადგილები დაიკავეს ა. კულუმბეგოვმა (67 კგ), ბ. ბეიზეროვმა (71 კგ) და ვ. ქუძიევმა (81 კგ).

გამარჯვებულ მოკრივეებსა და საუკეთესო მაჯებს გადაეცათ ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა ფასიანი საჩუქრები, სამხრეთ ოსეთის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის დიპლომები.

ამ ტურნირმა გამოავლინა ცხინვალელ ჭაბუკ მოკრივეთა სკოლის (დირექტორი დ. დადიანი) ავკარგი. მიუხედავად გარკვეული წარმატებისა, ჩვენებს ჯერ კიდევ ზღვა სამუშაო ელით, რათა უფრო გაიმდიდრონ ტექნიკურ-ტაქტიკური არსენალი. და ბოლოს, რატომღაც ასეთ საინტერესო შეჯიბრებას თავი აარიდეს თბილისელმა, ქუთაისელმა, სოხუმელმა და რუსთაველმა მოკრივეებმა.

ვ. მელკოევი.

(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა 22 დეკემბერს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭო და „ლელოს“ რედაქციის კოლექტივი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს უფროსი ინსტრუქტორი

მიხეილ სერგის ძე

კალანდაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი — 21 და 22 დეკემბერს, 19 საათზე, დაკრძალვა — 23 დეკემბერს. გამოსვენება 15 საათზე ბინიდან: ს. ახმეტელის ქუჩა № 7 (დიღმის მასივი).



სწორად ამოხსნეს

„ლელოს“ 14 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულ ჯ. ჩიქობავას (აბაშა) საჭადრაკო ამოცანაში ავტორის ჩანაფიქრს (1. ეc5) მიაგნეს ზ. ლაგვილავამ (თბილისი) და მ. კორძახიამ (აბაშა). ქ. ქართველიშვილმა (ქუთაისი), რ. კასიძემ (ხელვაჩაურის რაიონი, სოფ. ქვემო ჩხუტუნეთი) და ა. ნიკოლაიშვილმა (გარდაბნის რაიონი, სოფ. ნორიო) ამოცანას მეორე ამოხსნაც (1. ეe1) მოუნახეს.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.

УЭ 04758